Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#15, იანვარი, 2021

„პრეზიდენტის ინსტიტუტის შედარებითი ანალიზი - საქართველოსა და სომხეთის მაგალითზე“

თამარ წულაია

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

E-mail: tamartsulaia2000@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველოსა და ჩვენი მეზობელი ქვეყნის, სომხეთის, პოლიტიკური განვითარება ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ეს მსგავსება მოიაზრებს მათ პოსტსაბჭოთა სტატუსს და საპრეზიდენტო სისტემიდან საპარლამენტოზე თითქმის მსგავსი სცნერით გადასვლას. წარსულში ორივე საპრეზიდენტო რესპუბლიკას წარმოადგენდა, თუმცა საინტერესოა, თუ რა როლი დარჩა პრეზიდენტს ამ სახელმწიფოებში. კვლევის მიზანია წარმოაჩინოს როგორ, რა ასპექტებში შეიცვალა და შესუსტდა ხსენებული ინსტიტუტის ძალაუფლება, ასევე, რა გახდა მიზეზი ამ სისტემური ცვლილებებისა. კვლევის მიზანია იმის განსაზღვრა, უწყობს თუ არა ხელს პრეზიდენტის ინსტიუტის შესუსტება შესაძლო ერთპიროვნული ძალაუფლებისგან თავის დაღწევას და არის თუ არა მეტი სტაბილურობის გარანტი. კვლევაში განხილული იქნება: პრეზიდენტის უფლება-მოსილებისა და არჩევის წესი სამხრეთ კავკასიის ხსენებული ორი ქვეყნის კონსტიტუციის შედარების საფუძველზე; საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემების არსი იმის ნათელსაყოფად, თუ რა განსხვავებაა ამ სისტემების პრეზიდენტის ინსტიტუტებს შორის და რა სიახლეებს იწვევს ამ უკანასკნელისთვის სახელმწიფოს მმართველობის სისტემის ცვლილება. სტატიის ძირითადი მიზანია ყურადღება გაამახვილოს, თუ რა ძირითადი განსხვავებები შეინიშნება ორი ქვეყნის პრეზიდენტის ინსტიტუტს შორის, ერთი შეხედვით უამრავი მსგავსების, ერთნაირი წარსულისა და მმართველობის სისტემის მიუხედავად.

საკვანძო სიტყვები : *პრეზიდენტი, პრეზიდენტის ინსტიტუტი, საპარლამენტო, მმართველობა, სომხეთი, საქართველო*

შესავალი

თანამედროვე სამყარო წარულის ტოტალიტარული რეჟიმებისგან რადიკალურად განსხვავებულ პოლიტიკურ რეალობაში ვითარდება. მეოცე საუკუნის 80-90-იან წლებში მსოფლიოში დიდი პოლიტიკური გარდაქმნები მიმდინარეობდა,[1] შედეგად კი თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. დღესდღეობით ქვეყნების უმრავლესობა რესპუბლიკური მმართველობისაა და აქ „ ხელისუფლების წყარო ხალხია“ . კანონების შექმნისა და აღსრულების უფლება მოსახლეობის მიერ არჩეულ წარმომადგენლებს ეძლევათ. სახელმწიფოში მმართველობა არა ერთპიროვნულ, არამედ კოლეგიალურ ხასიათს ატარებს და გადაწყვტილებებიც კენჭისყრის გზით მიიღება. [2] დემოკრატია "უმრავლესობის მმართველობაა", მაგრამ მასში ზოგიერთი ადამიანის ინტერესი არასოდეს არის წარმოდგენილი. ყველას ინტერესების გათვალისწინების უფრო ჭეშმარიტი გზა გადაწყვეტილების მიღებაა კონსენსუსის საფუძველზე, რომლის მიზანიც საერთო ინტერესთა წერტილების მოძებნაა, გვეუბნება ევროპის საბჭო დემოკრატიის თაობაზე გამოქვეყნებულ მასალაში. (Council of Europe Portal. Democracy) ეს ზემოთხსენებული მმართველობის ტიპი ხელისუფლების სამ შტოდ დანაწილების პრინციპს ეფუძნება და „ურთიერთთანასწორობისა და კონტროლის“ მექანიზმით მოქმედებს. რაც იმას გულისხმობს, რომ სამივე შტო რამდენადაც დამოუკიდებლია, იმდენად შეთანხმებულობასა და ურთიერთთანამშრომლობს მოიაზრებს.[3]

მეთოდოლოგია

თემა ეყრდნობა ლიტერატურული წყაროების მიმოხილვისა და დამუშავების ანუ სამაგიდო კვლევის მეთოდს, ასევე, ისტორიული ანალიტიკის მეთოდს. საკითხი მიმოხილულია უცხოელი და ქართველი ავტორების პუბლიკაციებისა და ნაშრომების მიხედვით. მათ შორის სომეხი ჟურნალისტებისა თუ ანალიტიკოსების თვალსაზრისის მიხედვით. ასევე, გამოყენებულია პოლიტიკურ საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა ინსტიტუტის სტატიები თუ კვლევები. ამასთანავე, ქვეყნების კონსტიტუციები.

ლიტერატურის მიმოხილვა

---

[1]გარდაქმნები უკავშირდება საბჭოთა კავშირში დაწყებულ კრიზისს და 1991 წლის 8 დეკემბერს მის ოფიციალურად დაშლას.

https://sangu.ge/images/vguruli/14sov.pdf

[2] https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-19

[3] https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-19

რადგან სტატიის მიზანია დაგვანახოს სომხეთისა და საქართველოს საპრეზიდენტო ინსტიტუტების მსგავსება-განსხვავებები, უპირველესად საჭიროა ცალსახა და აშკარა იყოს პრეზიდენტის ინსტიუტის ზოგადი არსი და მისი როლი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში, საჭიროა ვიცოდეთ ამ ინსტიტუტის განვითარების ზოგადი ისტორია და მიზანი. ამ უკანასკნელს კარგად განიხილავს მალხაზ მაცაბერიძე თავის წიგნში „საქართველოს პოლიტიკური სისტემა", აქ ასევე საუბარია საქართველოს საპრეზიდენტო ინსტიუტისა და წლების მიხედვით მის უფლებებსა და როლში განხორციელებულ ცვლილებებზე. ასევე, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს პრეზიდენტის ადგილი სხვადასხვა მმართველობითი სისტემების პირობებში, რისთვისაც საჭიროა საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო მოდელების აღწერა და მათ შორის მკაფიო განსხვავებების წარმოჩენა. ამ ყოველივეს კარგად ხსნის და აღწერს ენდრიუ ჰეივუდი თავის ნაშრომში „პოლიტიკა", რომელშიც შეგვიძლია, დავინახოთ პრეზიდენტის უფლება-მოვალეობების თავისებურებები განსხვავებული პოლიტიკური სისტემების დროს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტების მკაფიო ასპექტების დანახვა შესაძლებელია კონსტიტუციური ცვლილებებისა და ჩასწორებების შედეგად, ამიტომაც ნაშრომში გაანალიზებულია სომხეთისა და საქართველოს კონსტიტუციები და წლების მიხედვით მათში შეტანილი ცვლილებები. უწყობს თუ არა ხელს პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტება შესაძლო ერთპიროვნული ძალაუფლებისგან თავის დაღწევას და არის თუ არა მეტი სტაბილურობის გარანტი საპარლამენტო სისტემა, ეს ნათლად წარმოჩინდა ვარშავის გეოპოლიტიკური კვლევითი ცენტრის მიერ 2018 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში - „Armenia: Change of Power", რომელშიც საუბარია პრემიერ ფაშინიანის მმართველობასთან დაკავშირებულ ექსესებსზე, ამავე თემაზე წერს შეერთებული შტატების საერთაშორისო სამაუწყებლო ორგანიზაცია „ამერიკის ხმა" 2018 წელს სომხეთში მიმდინარე პროცესების შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელშიც პრეზიდენტ სარქისიანის დამოკიდებულებები იკვეთება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების ირგვლივ. ასევე, უნდა აღინიშნოს 2018 წელს ედგარ ვარდანიანის სტატია „პარლამენტარიზმი სომხეთში", რომელიც გამოქვეყნებულია სამხრეთ კავკასიის თბილისის რეგიონული ბიუროს მიერ და რომელშიც ხაზგასმულია ის, თუ რა გახდა სომხეთში საპრეზიდენტო სისტემის საპარლამენტოთი ჩანაცვლების მიზეზი და ეს ფაქტი შედარებულია საქართველოში მომხდარ მსგავს სისტემურ ცვლილებასთან. დღესდღეობით სომხეთში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი გაანალიზებულია ევრონიუსის 2021 წლის თებერვლის სტატიის მიხედვით. საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის არჩევისა და მასთან მმართველი პარტიის დამოკიდებულების შესახებ საუბარია გოგი ზოიძის (საქართველოს რეფორმების ასოციაცია) 2018 წლის ანალიტიკურ სტატიაში. აქ განხილულია მმართველი

პარტიის პოზიციები პრეზიდენტის ინსტიტუტის ძალაუფლების მიკუთვნებულობისა და მისი არც თუ ისე უმნიშვნელო როლის შესახებ.

საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკები

განარჩევენ საპრეზიდენტო, შერეულ და საპარლამენტო მმართველობის მოდელებს. საპრეზიდენტო სისტემებში აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად პრეზიდენტის ხელშია, როგორც მთავრობის ხელმძღვანელი, ისე სახელმწიფოს პირველი პირიც, ხოლო საპარლამენტო სისტემებში მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობები გამიჯნულია. (ჰეივუდი თავი XVII) ამავდროულად, საპრეზიდენტო სისტემა ემყარება საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის ძალაუფლების განაწილებას. (ჰეივუდი. თავი XVI) საპარლამენტო რესპუბლიკა გულისხმობს სუსტ პრეზიდენტს. მიუხედავად მისი სიმბოლური უფლებებისა და იმისა, რომ საპრეზიდენტოსგან განსხვავებით, სადაც ხელისუფლების შტოები მკვეთრად გამიჯნულია და ძალაუფლება ძირითადად პრეზიდენტის ხელშია მოქცეული,საპარლამენტოს პირობებში კი, პირიქით, ერთგვარად აღმასრულებელი ხელისუფლება საკანონმდებლოს გაგრძელებად გვევლინება, პრეზიდენტის არსებობას ამ უკანასკნელის მსგავს სახელმწიფოებშიც კი რამდენიმე მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. აქ პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს ერთიანობის სიმბოლოს, არის პოლიტიკური სიმტკიცის გარანტი და რაც მთავარია, განამტკიცებს ქვეყანაში არსებული რეჟიმის ლეგიტიმურობას, ამასთანავე, ქვეყნის მეთაურის „ერის ლიდერად“ აღქმა უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა იმ კუთხით, რომ ის მოსახლეობაში მხარდაჭერისა და ნდობის მოპოვებას განაპირობებს. (ჰეივუდი, 2008) თავი XVII გვ.446). თავად სიტყვა „პრეზიდენტი“ ლათინურიდან ითარგმნება როგორც: „ვინც წინ ზის“.

ზოგადად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს ძირითადად ორი ნიშნის მიხედვით აერთიანებენ ხოლმე. აქედან ერთი პოლიტიკურ გეოგრაფიას, ხოლო მეორე – პოლიტიკურ ტელეოლოგიას ეფუძნება. ეს ყოველივე კი იმას გულისხმობს, რომ ეს ქვეყნები ერთი მხრივ რეგიონის, სამხრეთ კავკასიის, შემადგენელ ნაწილებად არიან მიჩნეულნი, მეორე მხრივ კი პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციის, ე.წ. „ტრანზიციის” პროცესის მონაწილეებად განიხილებიან. სამი ქვეყნის ერთ რეგიონად დაჯგუფების დასაბამი რუსეთის იმპერიული წარსულიდან მომდინარეობს - მათ მოიხსენიებდნენ ტერმინით „ზაკავკაზიე”, რომელიც ასახავს ჩრდილოეთიდან დანახულ, კავკასიის მთების მიღმა მდებარე ტერიტორიას. (აკოფიანი თ., 2014)

ამიერკავკასია, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცე, ვფიქრობ, ძალიან საინტერესოა პოლიტიკური სისტემების განხილვის კუთხით. წარსულში აქ არსებული ტოტალიტარული რეჟიმიდან გამომდინარე, მგონია, რომ იმის განხილვა, ხომ არ აქვს რომელიმეს მიდრეკილება ავტორიტარულობისკენ, ან ხომ არ არის რომელიმე მათგანში

ერთპიროვნული ლიდერის ძალაუფლება გამოკვეთილი, მიგვანიშნებს და სწორ აქცენტებს დასვამს ამ ქვეყნების რეალობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

რა არის კონსტიტუცია?

რას წარმოადგენს კონსტიტუცია? - ეს არის ქვეყნის ძირითად კანონთა კრებული, რომლის მიზანიც არის სახელმწიფოში არსებული ინსტიტუტების დანიშნულების, მოვალეობების და უფლებების, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთობის განსაზღვრა. როგორც ჰეივუდი გვეუბნება, კონსტიტუცია თავის მხრივ მჭიდროდაა დაკავშირებული ლიბერალურ ღირებულებებთან, თუმცა ვერ მოვიძიებთ რაიმე შემაკავებელ ბერკეტს, რაც მას არადემოკრატიულობისგან თუ ავტორიტაურლობისგან დაიცავს. ჰეივუდისა არ იყოს, მართლაც საინტერესოა, რისთვისაა ის საჭირო ან რატომ იწყება ხოლმე მმართველობის მექანიზმებზე საუბარი სწორედ კონსტიტუციით? მისი პასუხიც, ვფიქრობ, ძალიან სწორი და რეალურია. „სინამდვილეში, ეს თავად „ხელისუფლების სამართავი“ კანონებია. სწორედ ისე, როგორც ხელისუფლება უწესებს საზოგადოებას გარკვეულ წესრიგს, კონსტიტუციაც მიზნად ისახავს სიმყარე, სიმწყობრე და წესრიგი შესძინოს ხელისუფლების საქმიანობას“,- გვეუბნება ჰეივუდი. (თავი XV გვ. 394.) ქვემოთ კარგად დავინახავთ ქვეყნების კონსტიტუციებში სხვადასხვა წელს შეტანილ ცვლილებებს, რომელიც მნიშვნელოვანდ განსაზღვრავდა სახელმწიფოების სისტემურ თავისებურებებსაც და იმ წლებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც.

საპრეზიდენტო ინსტიტუტის ისტორიული მიმოხილვა

პრეზიდენტის ინსტიტუტის ჩამოყალიბება უკავშირდება აშშ-ს, ტერმინის გამოყენება კი სახელმწიფოს მეთაურის აღსანიშნავად მე-18 საუკუნის ბოლოდან დაიწყო, რადგანაც ანტიკურ დროში მას სხვადასხვა კრების თავმჯდომარის აღსანიშნად იყენებდნენ. დიდხნიანი დისკუსიის შემდეგ, აშშ-ში კონსტიტუციას საფუძვლად დაედო მედისონის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი ხელისუფლება ენიჭებოდა პრეზიდენტს. მას წამყვანი ადგილი ეჭირა ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, ის წარმოადგენდა სახელმწიფოს მეთაურსაც და აღმასრულებელ ხელისუფალსაც. (მაცაბერიძე, 2019). გვ 428) ვფიქრობ, ძლიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ კონვენტის ბევრი დეპუტატი არ ეთანმხებოდა მსგავსი თანამდებობის შექმნას, მათი მოსაზრებით, ფართო უფლებამოსილების მქონე აღმასრულებელი ხელისუფლების ერთპიროვნული მეთაური „დიქტატურის მატრიცას“ და „არჩევითი მონარქიის“ შემოღებას გულისხმობდა (მაცაბერიძე, 2019. გვ.429). აქვე მინდა ხაზი გავუსვა პრეზიდენტობის ვადის ჩამოყალიბებაზე არსებულ მსჯელობას. თავდაპირველად საუბარი იყო 3-იდან 7 წლამდე ვადაზე, ასევე განიხილებოდა 8-იდან 20 წლამდე ვარიანტიც, საბოლოოდ კი დადგინდა 4 წელი, რაც საკმარისად ჩაითვალა იმისთვის, რომ პრეზიდენტს შესაძლებლობების წარმოჩენა და გამოყენება ისე შესძლებოდა, რომ ზიანი არ მიეყენებინა

საზოგადოებისათვის. ამ ისტორიული რაკურსის შემდგომ მინდა ვისაუბრო ჩვენს ქვეყანაზეც. საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონით ჩამოყალიბდა, 1991 წლის 14 აპრილს. (მაცაბერიძე, 2019. თავი XIII გვ.438) ხოლო პირველი არჩევნები ამავე წლის 26 მაისს ჩატარდა და პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩიეს. თუმცა, ჩვენთვის კარგად ნაცნობი მოვლენების ფონზე,[4] დაწესდა ახალი დადგენილება და ქვეყნის მეთაურის ფუნქციები პარლამენტის თავმჯდომარემ შეითავსა, რომელსაც პარლამენტივე ირჩევდა. 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით კი პრეზიდენტის ინსტიტუტი კვლავ შემოიღეს. (მაცაბერიძე, 2019 გვ.441) აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა ხელისუფლების შეცვლის შემდგომ ორივე ქვეყანამ მიიღო თავისი, სუვერენული და არასაბჭოთა კონსტიტუცია. ხაზგასასმელია ისიც, რომ მათ კონსტიტუციებში შიგადადშიგ ცვლილებები ხორციელდებოდა.

პრეზიდენტის არჩევის პირდაპირი და არაპირდაპირი წესი

სომხეთის საპარლამენტო სისტემაში ბოლოდროინდელი საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით,[5] პრეზიდენტის არჩევის წესი მანამდე არსებული პირდაპირი არჩევნების ნაცვლად ახლა უკვე არაპირდაპირი წესით ხდება და აირჩევა ეროვნული კრების დეპუტატების მიერ. რაც შეეხება საქართველოს, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებით ბოლოჯერ ავირჩიეთ ქვეყნის მეთაური პირდაპირი წესით, მომდევნო არჩევნებზე ეს უკვე ფარული კენჭისყრით საარჩევნო კოლეგიის დახმარებით მოხდება. ჩვენს ქვეყანაშიც პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოს ერთიანობისა და უწყვეტობის გარანტი.

პრეზიდენტობის ვადა

სომხეთში პრეზიდენტს ეძლევა 7 წლის ვადა, რომ იყოს თანამდებობაზე, მაგრამ საქართველოსგან განსხვავებით, მხოლოდ ერთხელ აქვს ამის უფლება. მანამდე ჩვენს მეზობელ რესპუბლიკაში მისი კონსტიტუციის ძველი რედაქციის მიხედვით, ეს 5 წლიან

---

[4] 1991-1992 წლებში საქართველოში სამხედრო გადატრიალება მოხდა და ხელისუფლებაში სამხედრო საბჭო მოვიდა, რომელმაც არსებული კონსტიტუტციის მოქმედება შეაჩერა. ამ მოვლენების პერიოდში ზვიად გამსახურდიას ქვეყნის დატოვება მოუხდა, მისმა მოწინააღმდეგეებმა კი პრეზიდენტის ინსტიტუტი გაუქმებულად გამოაცხადეს. (მაცაბერიძე მ. „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“ გვ.440)

[5] 2015 წლის 6 დეკემბერს სომხეთში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელიც ითვალისწინებდა საკონსტიტუციო ცვლილებას - ნახევრად საპრეზიდენტოდან მმართველობიდან საპარლამენტოზე გადასვლას, რომლის თანახმადაც, ხელისუფლება უკვე პრემიერ-მინისტრის ხელში კონცენტრირდება და საერთაშორისო ასპარეზზეც ის იქნება სომხეთის წარმდგენი. (მაცაბერიძე მ. „თანამედროვე სომხეთის პოლიტიკური სისტემა“ გვ.10)

მანდატს მოიაზრებდა ზედიზედ მხოლოდ ორი ვადით არჩევის უფლებით. საქართველოში კი 2017 წელს კონსტიტუციური ცვლილებები განხორციელდა, რომლის შედეგადაც დადგინდა პრეზიდენტის 5 წლის ვადით არჩევა ერთი და იგივე პირის ზედიზედ ორჯერ გაპრეზიდენტების უფლებით. თუმცა, მოქმედი პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის ვადა ამჟამად გამონაკლისის სახით 6 წელია.

ვინ უნდა გახდეს პრეზიდენტი?

პრეზიდენტობა ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაა, ამიტომაც მისთვის არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემდგომაც პიროვნება შესაძლოა გახდეს ქვეყნის პირველი პირი. სომხეთში პრეზიდენტი უნდა იყოს დამოუკიდებელი კანდიდატი ანუ იგი არ უნდა წარმოადგენდეს რომელიმე პარტიას და შეიძლება გახდეს პირი, ვინც არის არანაკლებ 40 წლისა და ფლობს მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეობას ბოლო 6 წლის განმავლობაში, ამასთანავე, ამ 6 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს სომხეთში. მას უნდა ჰქონდეს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება და უნდა საუბრობდეს სომხურ ენაზე. საქართველოში 2017 წლის კონსტიტუციის რედაქციის თანახმად,[6] პრეზიდენტი ხდება კანდიდატი, რომელიც სომხეთის პრეზიდენტის მსგავსად, არის საარჩევნო უფლების მქონე ქვეყნის მოქალაქე არნაკლებ 40 წლისა, მაგრამ საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც. თუმცა მანამდე არსებული საკონსტიტუციო ცვლილებით პრეზიდენტი შეიძლებოდა ყოფილიყო არანაკლებ 35 წლის (თუმცა თუ ქვეყანაში ცხორობდა 5 წელი მაინც). ასევე, სომხეთში არსებული კანონის მსგავსადაც, საქართველოს პრეზიდენტი არ უნდა იყოს რომელიმე პარტიის წევრი.

პრეზიდენტის არჩევნები

სომხეთში საპრეზიდენტო კანდიდატურის წამოსაყენებლად საჭიროა ამომრჩეველთა ხმების მინიმუმ ერთი მეხუთედი, მაგრამ გასამარჯვებლად აუცილებელია ხმების მინიმუმ სამი მეოთხედის მიღება. თუკი პირველივე ჩატარებულ ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ აირჩა თანამდებობაზე (საჭირო ხმების ვერმიღების გამო), ტარდება მეორე ტური , სადაც პირველში მონაწილე ყველა კანდიდატი იქნება წარმოდგენილი და გაიმარჯებს ის, ვინც მიიღებს ამომრჩეველთა ხმების სამ მეხუთედს. მაგრამ შესაძლებელია, რომ ვერც მეორე ტურში დადგინდეს გამარჯვებული, ამიტომაც ჩატარდება შემდეგი, მესამე ტური, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ მონაწილეობს ყველაზე მეტი ხმის მქონე მხოლოდ ორი კანდიდატი.

[6] 2017 წლის ცვლილების თანახმად, რომელსაც უნდა ეგულისხმა პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევა და 5 წლის ვადით, თუმცა ეს შესწორება არ შეეხო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს და გამონაკლისად შეიძლება ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი საყოველთაო არჩევნებით 6 წლის ვადით ავირჩიეთ.

პრეზიდენტად კი აირჩევა ის, ვინც ხმების ნახევარზე მეტს დააგროვებს. იმ შემთხვევაში, თუ ამ დროსაც ვერ მოხერხდა პრეზიდენტის დასახელება, უკვე 10 დღის შემდეგ უნდა დაინიშნოს ხელახალი არჩევნები. თანამდებობაზე დადგენის შემდეგ ქვეყნის მეთაური დებს ფიცს ეროვნული კრების სპეციალური სხდომის წინაშე. საქართველოში, კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციით, რომელიც უნდა აღსრულდეს შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებზე, მისი პრინციპი, სომხეთის საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის მხოლოდ პარლამენტის დეპუტატების მიერ არჩევისგან გასხვავებით, შემდეგი იქნება : პრეზიდენტს აირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლშიც 300 ხმოსანი[7] იქნება წარმოდგენილი. არჩევნები ტარდება პარლამენტში. კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს არანაკლებ 30 ხმოსანს. 1 ხმოსანს შეუძლია წარადგინოს მხოლოდ 1 კანდიდატი და ხმა მისცეს მხოლოდ 1 მათგანს. არჩეულად ჩაითვლება ის, რომელიც მიიღებს ხმათა რაოდენობას არანაკლებ ხმოსანთა სრული შემაგდენლობის უმრავლესობისა. თუ პირველ ტურში ვერ დადგინდება გამარჯვებული, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც ყველაზე კარგი შედეგის მქონე 2 კანდიდატი იქნება წარმოდენილი და გაიმარჯვებს მეტი ხმის მქონე პირი. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს რომ პირველი ან მეორე ტური ჩატარებულად ჩაითვლება მაშინ, თუ მონაწილეობას მიიღებს ხმოსანთა ნახევარზე მეტი. ამასთანავე, იმ შემთხვვევაში თუ ვერ აირჩა პრეზიდენტი, სოხმეთის 14 დღიანი შუალედისგან განსხვავებით, 30 დღის ვადაში ხელახალი არჩევნები ინიშნება. თუკი ქვეყანაში არჩევნები დაემთხვა საგანგებო მდგომარეობას ან საომარ მოქმედებას ის გადაიდება და ჩატარდება ამ სიტუაციის გაუქმებიდან 45 დღის ვადაში. პრეზიდენტი თანამდებობის დაკავების წინ, არჩევიდან მესამე კვირა დღეს დებს ფიცს. საქართველოში პრეზიდენტის მოვალეობის ვადამდე შეწყვეტის დროს უფლებამოსილება ენიჭება პარლამენტის თავმჯდომარეს. ორივე ქვეყნის შემთხვევაში ინაუგურაციაზე ფიცის შინაარსი გულისხმობს მათ მიერ ქვეყნის სუვერენუტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, კონსტიტუციის დაცვასა და ერთგულებას. ფიცით ოფიციალურად ძალაში შედის პრეზიდენტის უფლებამოსილება.

პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები

ვინაიდან პრეზიდენტის არჩევის წესი ასე თუ ისე უკვე განვიხილე, ახლა უაღრესად მნიშვნელოვანია ვისაუბრო ამ უკანასკნელის ვალდებულებებზე, კომპეტენციებსა და

[7] 300 ხმოსანი გულისხმობს- საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების ყველა წევრს. გარდა ამისა, სხვა ხმოსნებს ასახელებენ პოლიტიკური პარტიები ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების გათვალისწინებით. („თანამედროვე სომხეთის პოლიტიკური სისტემა“)

უფლებებზე თითოეული ქვეყნის პოლიტიკური სისტემის პირობებში. სომხეთის პრეზიდენტი მხოლოდ სიმბოლური უფლებების მატარებელია ანუ იგი კონსტიტუციური პრეზიდენტია, რომელსაც ენიჭება უფლებამოსილება დანიშნოს ელჩები და მიანიჭოს დიპლომატიური ჩინი. ასევე, შეუძლია დანიშნოს შეიარაღებული ძალების მეთაურები და პრემიერის მიერ შეთავაზებული კანდიდატებიდან მიანიჭოს მათ სამხედრო წოდება. პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის მიერ მიღებული კანონების ხელმოწერა, მაგრამ მის კომპეტენციაში არ შედის პარლამენტის დათხოვნა ან ვადამდელი არჩევნების დანიშვნა. მას აქვს ვალდებულება მხოლოდ პრემიერის რეკომენდაციის საფუძველზე დაითხოვოს ის ან შეიტანოს ცვლილებები მთავრობაში. ამავდროულად, სახელმწიფოს მთავარსარდალიც არის პრემიერი, მაშინ, როცა ძველი კონსტიტუციის მიხედვით, ეს მოვალეობა პრეზიდენტს ენიჭებოდა. საგარეო პოლიტიკის ასპარეზზეც მხოლოდ მთავრობის რეკომენდაციის საფუძველზე შეუძლია მონაწილეობა და საერთაშორისო შეთანხმებების დადება, დიპლომატიური წარმომადგენლების მოხსნაც ან დანიშვნაც. ახალი საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, უშიშროების საბჭოსაც პრემიერი უხელმძღვანელებს, ხოლო პრეზიდენტი ამ საბჭოს წევრი აღარ იქნება. მას არ აქვს უფლება ეკავოს რაიმე სხვა თანამდებობა. პრეზიდენტს გაუუქმდა ვეტოს უფლებაც. სისტემური ცვლილებების შედეგად პრემიერის გაზრდილი გავლენა პრეზიდენტის ძალაუფლების შემცირების ხარჯზე შესაძლოა სულ სხვა კონტექსტს გუსლიხმობდეს და როგორც ოპოზიციური ძალები მიიჩნევენ ეს არა დემოკრატიულობის, კანონიერებისა და მეტი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მოხდა, არამედ მოქმედი მთავრობის ხელისუფლებებაში ყოფნის გახანგრძლივებისთვის. სომხეთის პრეზიდენტი არმენ სარქისიანი თანამდებობის დაკავებიდან მალევე აღნიშნავდა,რომ ქვეყანაში საჭირო იყო კონსტიტუციური ცვლილებები, რომელსაც პრეზიდენტის უფლებები უნდა გაეზარდა. როგორც ზემოთ განვმარტე, სომხეთში მისი მოვალეობები ვიწრო და შეზღდული სპექტრით შემოიფარგლება. სარქისიანს კი სურდა ხელისუფლების შტოების ერთგვარი დაბალანსება და ძალაუფლების თანაბრად განაწილება, რადგან ხალხის მიერ პრემიერი „სუპერ პრემიერ-მინისტრად“ აღიქმება, ხოლო პრეზიდენტს მკვეთრად დაკნინებული უფლებებიღა შერჩა. (ამერიკის ხმა , 2018).

საქართველოშიც, სომხეთის მსგავსად, პრეზიდენტი კანონით დადგენილი წესით გასცემს სახელმწიფო ჯილდოებს, დიპლომატიურ ჩინს, საპატიო წოდებებს. თუმცა, სომხეთისგან განსხვავებით, წარმოადგნს ქვეყნის შეიარაღებული ჯარების მთავარსარდალს. ისიც მთავრობის წარდგინებით ნიშნავს თანამდებობაზე ან ხსნის სამხედრო ძალების მეთაურს, იწყალებს მსჯავრდებულებს, წყვეტს მოქალაქეობის საკითხს, სახელმწიფოს სახელით დებს შეთანხმებას ეკელსიასთან,მთავრობასთან შეთანხმებით ახორციელებს საერთაშორისო ურთიერთობებს.

სომხეთისა და საქართველოს პრეზიდენტებისთვის, ისევე როგორც საპარლამენტო სისტემის მქონე ქვეყნებისთვის, დამახასიათებელია ჩარჩოებში მოქცეული ქვეყნის მეთაური. აქ ყველა ძირითად და წამყვან უფლებას პრემიერი ფლობს. ეს ორი ქვეყანა სისტმეური ცვლილებებით ძალიან ჰგავს ერთმანეთს. პირველ რიგში იმიტომ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის და სომხეთის კონსტიტუციის 2015 წლის ცვლილებების შედეგად ქვეყანა საპარლამენტო მმართველობის ყაიდაზე გადავიდა მეტი დემოკრატიულობისთვის, სინამდვილეში კი იმ დროს მოქმედი პრეზიდენტები ნიადაგს იმზადებდნენ შემდგომში პრემიერის გაფართოებული უფლებამოსილების მოსაპოვებლად. იმ დროს სომხეთში ოპოზიცია თვლიდა, რომ 2015 წლის რეფერნდუმის შედეგად განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილების მთავარი ამოცანა პრეზიდენტ სერჟ სარქისიანისთვის ძალაუფლების შენარჩუნება იყო, შემდგომი გაპრემიერების პერსპექტივით. საერთაშორისო დამკვირვებლებმა ამ სიახლის გაგებისთანავე გაიხსენეს კიდევ ერთი პოსტსაბჭოთა ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის, შემთხვევა. აქაც, სომხეთის მსგავსად გავრცელებული იყო ვარაუდი, რომ ეს რეფორმა პირდაპირ მიმართული იყო პრეზიდენტი სააკაშვილის მიერ ხელისუფლების ფლობის ვადის გახანგრძლივებისკენ. (კავკასიური სახლის ანალიტიკური პორტალი, 2020)

საინტერესოა ის ფაქტი, რომ საპარლმენტო მმართველობა და პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტება არ უნდა ვიგულისხმოთ აპრიორში ქვეყნის წმინდა სტაბილურობისა და ერთპიროვნულობისგან დაცვის გარანტად. თუკი სომხეთში პოლიტიკური სისტემის ცვლილება ფორმალურად მიმართული იყო მეტი დემოკრატიულობის და საპრეზიდენტო მმართველობის, როგორც ერთი ადამიანის ხელში მოქცეული დიდი ძალაუფლების, დაბალანსებისკენ, სინამდვილეში ცხადად გამოჩნდა, რომ ამ რეფორმაში ჩადებული იყო მოქმედი პრეზიდენტის შემდგომი გაპრემიერების სურვილი, რომელიც „ხავედროვანი რევოლუციით“ დასრულდა. სისტემის ცვლილებას რომ ხელი არ შეუშლია ძალაუფლების ერთპიროვნული პყრობისთვის ეს კარგად გამოჩნდა სომხეთში გასულ მარტში დაწყებული საპროტესტო აქციებით, რომელთა მოთხოვნაც იყო ფაშინიანის გადაგომა. ამ ვითარებაში პრეზიდენტის პოზიცია ნეიტრალური და მხარეების მორიგებისკენ იყო მიმართული, თუმცა არმენ სარქსიანი არ დასთანხმდა პრემიერის ინიციატივას გენშტაბის ხელმძღვანელის გადაყენების შესახებ. ამის მიზეზად კი განკარგულების ქვეყნის კონსტიტუციასთან წინააღმდეგობა დაასახელა. ფაქტობრივად, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ კრიზისს თან ერთვის პრეზიდენტსა და მმართველ პარტიას შორის უთანხმოებაც. ანალიტიკოს ლევონ გეორგიანის თქმით, სომხეთი ვერ აღმოჩნდა მზად საპარლამენტო მოდელისთვის, რადგან აქ ჯერ კიდევ ერთი პარტიის დომინირება და ერთი ინდივიდის ავტორიტეტი იკვეთება. სომხეთი როგორც პოსტსაბჭთა ქვეყანა და როგორც მრავალი წლის განმავლობაში

საპრეზიდენტო სისტემას შეჩვეული სახელმწიფო უარს ვერ ამბობს ძალაუფლების ერთის ხელში კონცენტრირებაზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტება სულაც არ ნიშნავს ქვეყნისთვის ერთპიროვნულობის თავიდან აცილებას. მხოლოდ საპრეზიდენტო ინსტიტუტის შესუსტება არ არის გარანტორი დემოკრატიულობის მაღალი ხარისხისა, ამ უკანასკნელის რღვევა შესაძლოა საპარლამენტო მოდელის პირობებშიც დაიწყოს. თუ პრეზიდენტითვის საპარლამენტო მოდელით ერთგვარად ნეიტრალურობა იქნება განსაზღვრული იმ იდეით, რომ მას ძალაუფლების გაფართოების შესაძლებლობა მოესპობა, მეორე მხრივ, პრემიერი შეეცდება ამ ყოველივეს. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სომხეთში შესაცვლელია საარჩევნო სისტემა და საჭიროა ის მრავალპარტიული გახდეს. სომხეთის მსგავსად, საქართველოშიც პოლიტიკური კრიზისი იყო, რომელიც 2020 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგებმა გამოიწვია. საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით, ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ჩვენს ქვეყანას ევროკავშირის მედიაცია შესთავაზა და დაიწყო მოლაპარაკებების ფაზა. რაც შეეხება უშუალოდ დღევანდელი პრეზიდენტის სათავეში მოსვლას, უნდა ითქვას, რომ სალომე ზურაბიშვილს, როგორც დამოუკიდებელ კანდიდატს, მხარი დაუჭირა მმართველმა პარტიამ - ქართულმა ოცნებამ, რომელსაც საკუთარი წარმომადგენელი არ ჰყოლია. სწორედ აქედან მოდის ოპოზიციის კრიტიკა პრეზიდენტის მიკერძოებულობისა და დამოუკიდებელი პოზიციის არარსებობის შესახებ, ამიტომ ჩვენს ქვეყანაში მართალია ის უპარტიოა, თუმცა მას მმართველი მთავრობის მომხრედ განიხილავენ. საინტერესოა, რატომ დაუჭირა მმართველმა პარტიამ მხარი დამოუკიდებელ კანდიდატს და რატომ არ წარადგინა საკუთარი კანდიდატურა. კრიტიკოების აზრით, ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო იმის წარმოჩენა, რომ ის ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობას და არ სურს ძალაუფლების ყველა მექანიზმის საკუთარ ხელში მოქცევა იმისთვის, რომ ამან მოსახლეობაში გაღიზიანება არ გამოიწვიოს. თუმცა თუკი არჩევნებში ოპოზიციის კანდიდატი გაიმარჯვებდა ეს ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გადასხვაფერებას გამოიწვევდა, ასევე, პოლიცია, პროკურატურა, ჯარი ნელნელა განუდგებოდა მმართველის ძალის ფარგლებს და ოპოზიციის სახელით იმოქმედებდა, რასაც შესაძლოა საზოგადოებაში ურთიერთობები დაეძაბა. ამგვარად, დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერით მმართველმა პარტიამ თავი დაიცვა ოპოზიციის მხრიდან პრეზიდენტის ინსტიტუტის შესაძლო „მიტაცებისგან“ და იმის წარმოჩენაც გამოუვიდა, რომ იგი პარტიულ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესებს აყენებს და არ სურს ყოვლისმპყრობელი იყოს. როგორ მოქმედებს დამოუკიდებელი კანდიდატი და ვის ინტერესებს უფრო ითვალისწინებს, ეს კონკრეტული გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა განვსაზღვროთ. დღეს ფაქტი ერთია, საქართველოში შეიქმნა პრეცენდენტი, რომ ქვეყნის სათავეში პირველად გვყავს ქალი პრეზიდენტი.

დასკვნა

ამგვარად, სტატიის ფარგლებში მიმოხილულ იქნა პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნის ისტორია და ზოგადად, საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემების ძირითადი თავისებურებები. ხოლო განხილული ორი მსგავსი წარსულის, ორი საპარლამენტო სისტემის მქონე ქვეყნის მაგალითზე ნათლად გამოჩნდა ძირითადი მსგავსება - განსხვავებები პრეზიდენტის ინსტიტუტის მოვალეობასა თუ არჩევის პროცესს შორის. პასუხი გაეცა დასაწყისში დასახელებულ მიზნებს და გამოიკვეთა ცვლილებების გამომწვევი მიზეზიც, მისი შესუსტების კონკრეტული ასპექტებიცა და ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში მხოლოდ საპრეზიდენტო ინსტიუტის სიძლიერე არ არის პრობლემა. პოლიტიკური კრიზისები შესაძლოა საპარლამენტო მოდელის მმართველობის დროსაც გამოიკვეთოს. სომხეთში მალე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია, რომლითაც აშკარად დადგინდება პარლამენტარიზმის სუსტი თუ ძლიერი მხარეები და გამოჩნდება იგივენაირად ხომ არ არის ის საფრთხისშემცველი, როგორც ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობაა ხოლმე.

გამოყენებული ლიტერატურა

ამერიკის ხმა . (2018, ივნისი 5). Retrieved from სომხეთის პრეზიდენტი : ერევანს საკონსტიტუციო ბალანსი აკლია: https://www.amerikiskhma.com/a/president-of-armenia/4425636.html

ამერიკის ხმა. (2020, ნოემბერი 16). Retrieved from https://www.amerikiskhma.com/a/armenia-fm-resigns/5664462.html

კავკასიური სახლის ანალიტიკური პორტალი. (2020, ივლისი 25). Retrieved from http://regional-dialogue.com/armenia/

Kubiak, M. (2018, june 18). *Warsaw Institute*. Retrieved from https://warsawinstitute.org/armenia-change-power/

აკოფიანი თ., ა. ქ. (2014). *სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები.* თბილისი : ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო.

მაცაბერიძე, მ. (2019). *საქართველოს პოლიტიკური სისტემა.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჰეივუდი, ე. (2008). *პოლიტიკა.* თბილისი: საქართველოს მაცნე.